ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-14
2020 წლის 20 ნოემბერი
ქ. თბილისი

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 31/10/2016 სარეგისტრაციო კოდი: 010240000.64.076.016003) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. აუდიტორი, რომელიც, სამსახურში დაცული ინფორმაციის საფუძველზე, აღარ წარმოადგენს აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ პირს, ვალდებულია აღნიშნული ფაქტის დადგომიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სამსახურს განახლებული დოკუმენტაცია აუდიტორულ ფირმაში დასაქმების ან/და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე. სამსახური უფლებამოსილია, აუდიტორის მოთხოვნით, დოკუმენტაციის წარდგენის ვადა გააგრძელოს, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღით. სამსახურისთვის დოკუმენტაციის ამ მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, აუდიტორი ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, სამსახურის მიერ რეესტრში კეთდება აუდიტორის სარეგისტრაციო პირობებთან შესაბამისობის შესწავლის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**